



ბურგასის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი
მონაცემთა ანალიზი
პლაჟებზე მყარი ნარჩენების ძირითადი კატეგორიების
შესახებ



ბურგასის მუნიციპალიტეტის მიერ პლაჟებზე ნარჩენების ძირითადი კატეგორიების შესახებ (ხელოვნური პოლიმერული მასალა, რეზინი, ტანსაცმელი/ტექსტილი, ქაღალდი/მუყაო, დამუშავებული ხე, ლითონი, მინა/კერამიკა, არაიდენტიფიცირებული) წარმოდგენილი მონაცემთა ანალიზი ჩატარებულია შემდეგი წყაროებიდან მიღებული მონაცემების გამოყენებით:

1) პლაჟის ნარჩენების ინსტიტუციური მონიტორინგი (D10C1, indicator 1) 2017-2019 წწ ჩათვლით;

2) 4 სეზონის მონიტორინგი (2019-2020), ჩატარებული ბურგასის მუნიციპალიტეტსა და "Nikola Vaptsarov"-ის საზღვაო აკადემიას შორის გაფორმებული კონტრაქტის 93-OP19-1/5/07.05.2019 საფუძველზე, RedMarLitter პროექტის ფარგლებში, აქტივობა 2, „ნარჩენების მონიტორინგი შავი ზღვის სანაპიროს შერჩეულ მონაკვეთზე“;

3) საზღვაო ნარჩენების სატელიტური მონიტორინგი უპილოტო საფრენი აპარატის გამოყენებით, იმავე კონტრაქტის ფარგლებში.



1. მონიტორინგისათვის განკუთვნილი პლაჟები

1.1 პლაჟებზე ნარჩენების ინსტიტუციური მონიტორინგისათვის განკუთვნილი სამონიტორინგო პლაჟები

პლაჟებზე ნარჩენების ინსტიტუციური მონიტორინგისათვის განკუთვნილია შემდეგი პლაჟები:

-) პლაჟი "დურანკულაკი ჩრდ. 1";
-) პლაჟი "კრაპეცი";
-) არხი 2 - "ვარნა - შავი ზღვა"
-) პლაჟი "შკორპილოვცი ჩრდ.";
-) პლაჟი "ბიალა - კარადერე";
-) პლაჟი "ობზორ - ბავშვთა ბანაკები";
-) პლაჟი "ირაკლი";
-) "შავი ზღვის მლაშობების " პლაჟი – ბურგასი;
-) პლაჟი „ალეპუ“ ;
-) პლაჟი "მდ. ველეკას შესართავი".

თითოეული სამონიტორინგო არეალი განსხვავებული ზეწოლით ხასიათდება და განიცდის ნარჩენების განსხვავებულ ზემოქმედებას და დატვირთვას.



სამონიტორინგო პლაჟები, განკუთვნილი ნარჩენების 4 სეზონის მონიტორინგისათვის (2019-2020), რომელიც ჩატარებულია ბურგასის მუნიციპალიტეტსა და "Nikola Vaptsarov"-ის საზღვაო აკადემიას შორის კონტრაქტის 93-OP19-1/5/07.05.2019 საფუძველზე, RedMarLitter პროექტის ფარგლებში, აქტივობა 2, „ნარჩენების მონიტორინგი შავი ზღვის სანაპიროს შერჩეულ მონაკვეთზე“.

საზღვაო ნარჩენების 4 სეზონის მონიტორინგი (2019 – 2020 წწ) ფარავს შემდეგ 3 პლაჟს:

ქპლაჟი "შავი ზღვის მლაშობები ჩრდ." - ბურგასი;

ქპლაჟი ვრომოსის ყურე;

ქპლაჟი „ალეპუ“ კურორტ "დიუნისა" და "დიუნი სამხრეთს“ შორის.

1.3 სამონიტორინგო პლაჟები, განკუთვნილი საზღვაო ნარჩენების სატელიტური მონიტორინგისათვის უპილოტო საფრენი აპარატის გამოყენებით, იმავე კონტრაქტის ფარგლებში

საზღვაო ნარჩენების სატელიტური მონიტორინგი უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით, ფარავს შემდეგ 2 პლაჟს:

ქპლაჟი კრაიმორიე;

ქპლაჟი ფოროსის კონცხი.


სამივე ტიპის მონიტორინგის ჩატარების დროს გამოყენებული იყო ნარჩენების მასალების ძირითადი ჯგუფების შეთანხმებული საერთაშორისო კლასიფიკაცია და ეყრდნობოდა კრიტერიუმს D10C1 - პირველი: ნარჩენების შემადგენლობა, რაოდენობა და სივრცული განაწილება ნაპირის ხაზზე, წყლის სვეტის ზედაპირულ ფენაში და ფსკერზე არის იმ რაოდენობით, რომ არ უქმნის საფრთხეს სანაპირო და საზღვაო გარემოს.

2. ზღვის ნაპირებზე აკუმულირებული ნარჩენების მონაცემთა ანალიზი

2.1 ნაპირებზე აკუმულირებული ნარჩენების მონაცემთა ანალიზი მოიცავს პერიოდს 2017 – 2019 წლის ჩათვლით.

2.1.1. 2017 წლის მონაცემთა ანალიზი


სურათი 1 გვიჩვენებს 2017წ ნარჩენების ძირითადი კატეგორიების განაწილებას (პროცენტებში, %-ში) ყველა პლაჟისათვის ჯამურად.



სურათი 1. ნარჩენების ძირითადი კატეგორიების წილი 2017 წ ინსტიტუციური მონიტორინგისათვის განკუთვნილ ყველა პლაჟზე

როგორც სურათი 1-დან ჩანს, ნარჩენების ყველაზე დიდი წილი მოდის „ხელოვნურ პოლიმერულ მასალაზე“ - მთლიანად ნარჩენების 64.98%, შემდეგ მოდის კატეგორია „ქაღალდი/მუყაო“ - 14.14%; კატეგორია „ლითონი“- 7.17%; კატეგორია „დამუშავებული ხე“ - 5.69%; კატეგორია „მინა/კერამიკა“ - 3.72%; კატეგორია "რეზინი" - 2.12%; კატეგორია "ტანსაცმელი/ტექსტილი" - 1.84% და კატეგორია "არაიდენტიფიცირებული" - 0.41%.

ნარჩენების ძირითადი კატეგორიების წილი ინსტიტუციური მონიტორინგისათვის განკუთვნილ პლაჟებზე (პროცენტებში, %-ში) 2017 წლისათვის წარმოდგენილია სურათზე 2. მონაცემები სურათებისათვის წარმოდგენილია ცხრილში 1 - დანართი 1.1.



სურათი 2. ნარჩენების ძირითადი კატეგორიების შემცველობა (%-ში) პლაჟების მყარი ნარჩენების ინსტიტუციური მონიტორინგისათვის განკუთვნილ მონაკვეთებზე, 2017

სურათი 2 გვიჩვენებს, რომ ყველა პლაჟზე ნარჩენების კატეგორიას, „ხელოვნური პოლიმერული მასალა“ აქვს ყველაზე მაღალი პროცენტული წილი. ეს მაჩვენებელი ყველაზე მეტია დურანკულაკი ჩრდ. 1" -ის პლაჟზე (70.42%), ხოლო ყველაზე ნაკლები - "მდ. ველეკას შესართავის" პლაჟზე (54.33%). დანარჩენი კატეგორიების ყველაზე მაღალი




პროცენტული შემცველობა პლაჟებზე შემდეგია:

- რეზინი – პლაჟი "კრაპეცი" – 3.79%;
- ტანსაცმელი/ტექსტილი– პლაჟი "მდ. ველეკას შესართავი" – 2.41%;
- ქაღალდი/მუყაო– პლაჟი "შავი ზღვის მლაშობები" – 17.25%;
- დამუშავებული ხე– პლაჟი "მდ. ველეკას შესართავი" – 22.16%;
- ლითონი – პლაჟი "ზიალა - კარადერე" – 12.13%;
- მინა/კერამიკა – პლაჟი "დურანკულაკი - ჩრდ. 1" – 4.26%;
- არაიდენტიფიცირებული – პლაჟი "მდ. ველეკას შესართავი" – 1.10%

2.1.2. 2018 წლის მონაცემთა ანალიზი

სურათზე 3 წარმოდგენილია 2018 წ. ნარჩენების ძირითადი კატეგორიების განაწილება (პროცენტი, %) ინსტიტუციური მონიტორინგისათვის განკუთვნილ ყველა სამონიტორინგო პლაჟზე ჯამურად.




სურათი 3. ნარჩენების ძირითადი კატეგორიების წილი ინსტიტუციური მონიტორინგისათვის განკუთვნილ ყველა პლაჟზე, 2018



როგორც სურათი 3-დან ჩანს, მთლიანად ნარჩენების ყველაზე დიდი წილი მოდის კატეგორიაზე "ხელოვნური პოლიმერული მასალა" - 60.19%, შემდეგ მოყვება კატეგორია "ქაღალდი/მუყაო" - 12.46%; კატეგორია "დამუშავებული ხე" - 10.46%; კატეგორია "ლითონი" - 8.45%; კატეგორია "მინა/კერამიკა" - 3.34%; კატეგორია "ტანსაცმელი/ტექსტილი" - 2.32%; კატეგორია "რეზინი" - 2.22%; და კატეგორია "არაიდენტიფიცირებული" - 0.56%.

ნარჩენების ძირითადი კატეგორიების წილი 2018 წ. ინსტიტუციური მონიტორინგისათვის განკუთვნილ პლაჟებზე (პროცენტებში, %-ში) წარმოდგენილია სურათზე 4. მონაცემები სურათებისათვის წარმოდგენილია ცხრილში 2 - დანართი 1.1.



სურათი 4. ნარჩენების ძირითადი კატეგორიების შემცველობა (%-ში) პლაჟების მყარი ნარჩენების ინსტიტუციური მონიტორინგისათვის განკუთვნილ მონაკვეთებზე, 2018


სურათი 4-დან ჩანს, რომ ყველა პლაჟზე ნარჩენების კატეგორიას „ხელოვნური პოლიმერული მასალა“ აქვს ყველაზე მაღალი პროცენტული წილი. ეს მაჩვენებელი ყველაზე მეტია "შუკორპილოვცი - ჩრდ." პლაჟზე (65.53%), და ყველაზე მცირეა "ობზორ - ბავშვთა ბანაკების" პლაჟზე (56.06%). დანარჩენი კატეგორიების ყველაზე მაღალი

პროცენტული შემცველობა პლაჟებზე შემდეგია:

- რეზინი – პლაჟი "დურან კულაკი ჩრდ. 1" – 2.60%;
- ტანსაცმელი/ტექსტილი პლაჟი "დურანკულაკი ჩრდ. 1" – 3.77%;
- ქაღალდი/მუყაო– პლაჟი არხი 2 - "ვარნის ტბა - შავი ზღვა" – 14.95%;
- დამუშავებული ხე– პლაჟი "ირაკლი" – 18.65%;
- ლითონი – პლაჟი არხი 2 - "ვარნის ტბა - შავი ზღვა" – 9.43%;
- მინა/კერამიკა – პლაჟი "დურანკულაკი ჩრდ. 1" – 4.63%;
- არაიდენტიფიცირებული – პლაჟი "ობზორ - ბავშვთა ბანაკები" – 0.90%

2.1.3. 2019 წ. მონაცემთა ანალიზი

სურათზე 5 წარმოდგენილია 2019 წ. ნარჩენების ძირითადი კატეგორიების განაწილება (პროცენტი, %) ყველა სამონიტორინგო პლაჟისთვის ჯამურად.




სურათი 5. ნარჩენების ძირითადი კატეგორიების წილი პლაჟების მყარნარჩენების ინსტიტუციური მონიტორინგისათვის განკუთვნილ მონაკვეთებზე, 2019

როგორც სურათი 5-დან ჩანს, მთლიანად ნარჩენების ყველაზე დიდი წილი მოდის კატეგორიაზე "ხელოვნური პოლიმერული მასალა - 62.49%, შემდეგ კატეგორია



"ქალაქი/მუყაო" – 13.07%; კატეგორია " – „დამუშავებული ხე " – 11.71%; კატეგორია "ლითონი" – 6.44%; კატეგორია "მინა/კერამიკა" – 2.42%; კატეგორია "ტანსაცმელი/ტექსტილი" – 1.88%; კატეგორია "რეზინი" – 1.66%; და კატეგორია "არაიდენტიფიცირებული" - 0.38%.

ნარჩენების ძირითადი კატეგორიების წილი 2019 წ. ინსტიტუციური მონიტორინგისათვის განკუთვნილ პლაჟებზე (პროცენტებში, %-ში) წარმოდგენილია სურათზე 6. მონაცემები სურათებისათვის წარმოდგენილია ცხრილში 3 - დანართი 1.1.



სურათი 6. ნარჩენების ძირითადი კატეგორიების შემცველობა (%-ში) პლაჟების მყარი ნარჩენების ინსტიტუციური მონიტორინგისათვის განკუთვნილ მონაკვეთებზე, 2019


სურათი 6-დან ჩანს, რომ მთლიანად ნარჩენების ყველაზე დიდი წილი მოდის კატეგორიაზე "ხელოვნური პოლიმერული მასალა". ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია "Shkorpilovtsi-north" პლაჟზე (66.17%) და ყველაზე მცირეა - პლაჟზე არხი 2 - "ვარნის ტბა - შავი ზღვა" (57.94%). დანარჩენი კატეგორიების ყველაზე მაღალი პროცენტული შემცველობა პლაჟებზე შემდეგია:



- რეზინი – პლაჟი "ობზორ - ბავშვთა ბანაკი" – 3.60%;
- ტანსაცმელი/ტექსტილი– პლაჟი "შავი ზღვის მლამობები" – 3.16%;
- ქაღალდი/მუყაო– პლაჟი არხი 2 - "ვარნის ტბა - შავი ზღვა" – 16.23%;
- დამუშავებული ხე– პლაჟი "ალეპუ" – 15.73%;
- ლითონი– პლაჟი არხი 2 - "ვარნის ტბა - შავი ზღვა"– 10.49%;
- მინა/კერამიკა– პლაჟი "ირაკლი" – 4.08%;
- არაიდენტიფიცირებული – პლაჟი "ობზორ - ბავშვთა ბანაკი" – 0.77% .

2.1.4. 2017 – 2019 წწ პერიოდის მონაცემების შეჯამება

სურათზე 7 ნაჩვენებია ნარჩენების ძირითადი კატეგორიების წილი პლაჟებზე ნარჩენების ინსტიტუციური მონიტორინგისათვის განკუთვნილ მონაკვეთებზე 2017 – 2019 წწ პერიოდისათვის.



სურათი 7. ნარჩენების ძირითადი კატეგორიების შემცველობა (%-ში) პლაჟების მყარი ნარჩენების ინსტიტუციური მონიტორინგისათვის განკუთვნილ მონაკვეთებზე, 2017-2019


წინა პუნქტსა და სურათ 7-ზე მოცემული ანალიზის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ნაპირის გასწვრივ აკუმულირებული ნარჩენების შემადგენლობიდან გამომდინარე, 2017–2019 წწ პერიოდისათვის იკვეთება დაახლოებით ერთგვაროვანი



ტრენდი. ამ პერიოდში აღინიშნება „ხელოვნური პოლიმერული მასალების“ კატეგორიის მნიშვნელოვანი სიჭარბე (60-65%). მეორე ადგილზეა კატეგორია „ქალაქი/მუყაო“ (12-15%), მესამეზე -კატეგორია „ლითონი“ (7-8%) 2017 წელს, ხოლო კატეგორია „დამუშავებული ხე“ - (10-12%) 2018 და 2019 წწ.

2.2 საზღვაო ნარჩენების 4 სეზონის მონიტორინგის (2019 – 2020 წწ) მონაცემთა ანალიზი, შესრულებული ბურგასის მუნიციპალიტეტსა და „ნიკოლა ვაპსაროვის“ საზღვაო აკადემიას შორის კონტრაქტის 93-OP19-1/5/07.05.2019 საფუძველზე, პროექტ RedMarLitter ფარგლებში, აქტივობა 2, „ზღვის გარემოში ნარჩენების მონიტორინგი შავი ზღვის სანაპიროს შერჩეულ მონაკვეთებზე“


სურათზე 8 ნაჩვენებია ნარჩენების ძირითადი კატეგორიების განაწილება (პროცენტებში, %) ყველა პლაჟისთვის ჯამურად, 4 სეზონის მონიტორინგისათვის განკუთვნილ მონაკვეთებზე, პროექტის RedMarLitter ფარგლებში.



სურათი 8. ნარჩენების ძირითადი კატეგორიების განაწილება (%) ყველა პლაჟისთვის ჯამურად, 4 სეზონის მონიტორინგისათვის განკუთვნილ მონაკვეთებზე, პროექტის RedMarLitter ფარგლებში,

როგორც **სურ. 8-დან** ჩანს, ნარჩენებს შორის „ხელოვნური პოლიმერული მასალის“ კატეგორიის წილი ყველაზე მეტია-91%. დანარჩენი კატეგორიების წილი უმნიშვნელოა (ჯამში 9%) და განაწილებულია შემდეგნაირად: "ქალაქი/მუყაო"-3%; "დამუშავებული ხე"-1.71%; "მინა/კერამიკა"-1.46%; "ლითონი"-1.26%; "რეზინი"-0.72%; "ტანსაცმელი/ტექსტილი"-0.54% and "არაიდენტიფიცირებული" - 0.31%.

ძირითადი კატეგორიების შემადგენლობა მყარ ნარჩენებში პლაჟებზე (პროცენტი, %) 2019/2020 წწ-ისათვის წარმოდგენილია **სურათზე 9**. მონაცემები სურათისათვის წარმოდგენილია ცხრილში 4 - **დანართი 1.1**.



სურათი 9. ძირითადი კატეგორიების შემადგენლობა (%-ში) 4 სეზონის მონიტორინგისათვის განკუთვნილ პლაჟებზე, პროექტ RedMarLitter ფარგლებში, 2019/2020 წწ.


სურათზე 9 ჩანს, რომ ყველა პლაჟზე ნარჩენებს შორის “ხელოვნური პოლიმერული მასალის“ კატეგორიის წილი ყველაზე მეტია. ეს მაჩვენებელი მაქსიმალურია „შავი ზღვის მლაშობების“ პლაჟზე (92.98%), და მინიმალურია "ალეპუს" პლაჟზე (89.92%). დანარჩენი კატეგორიების მაქსიმალური მაჩვენებლები აღინიშნა შემდეგ პლაჟებზე:



- რეზინი- პლაჟი "ვრომოსი" – 1.02%;
- ტანსაცმელი/ტექსტილი- პლაჟი "ვრომოსი" – 0.89%;
- ქაღალდი/მუყაო- პლაჟი "ვრომოსი" – 3.12%;
- დამუშავებული ხე- პლაჟი "ალეპუ" – 2.54%;
- ლითონი- პლაჟი "ვრომოსი" – 2.05%;
- მინა/კერამიკა- პლაჟი "ალეპუ" – 1.70%;
- არაიდენტიფიცირებული- პლაჟი "ალეპუ" – 0.56%

2.3. ზღვის გარემოში მყარი ნარჩენების უპილოტო საფრენი აპარატის გამოყენებით ჩატარებული მონიტორინგის მონაცემთა ანალიზი - 2019/2020 წწ. (ზაფხული 2019, შემოდგომა 2019 და გაზაფხული 2020)

ძირითადი კატეგორიების შემცველობა პლაჟებზე აკუმულირებულ ნარჩენებში (პროცენტებში, %) წარმოდგენილია სურათზე 10. მონაცემები სურათისთვის წარმოდგენილია ცხრილში 5 - დანართი 1.1.



სურათი 10. სატელიტური მონიტორინგისათვის განკუთვნილ პლაჟებზე უპილოტო საფრენი აპარატის საშუალებით მიღებული მყარი ნარჩენების ძირითადი კატეგორიების შემცველობა (%-ში) 2019/2020 წწ.

სურათზე 10 ჩანს, რომ უპილოტო საფრენი აპარატის საშუალებით სატელიტური მონიტორინგის პლაჟებზე აღინიშნება „ხელოვნური პოლიმერული მასალის“ მაქსიმალური შემცველობა. ეს მაჩვენებელი მაქსიმალურია „კრაიმორიეს“ პლაჟზე



(87.12%), და მინიმალურია „ფოროსის კონცხის“ პლაჟზე (79.08%). ნარჩენების სხვა კატეგორიების მაქსიმალური მაჩვენებლები პლაჟებზე შემდეგია:

- რეზინი– "ფოროსის კონცხის" პლაჟი– 0.60%;
- ტანსაცმელი/ტექსტილი– "ფოროსის კონცხი" პლაჟი– 1.38%;
- ქაღალდი/მუყაო– "ფოროსის კონცხი" პლაჟი– 1.21%;
- დამუშავებული ხე– პლაჟი "კრაიმორიე"– 1.99%;
- ლითონი– "ფოროსის კონცხის" პლაჟი– 0.79%;
- მინა/კერამიკა– "ფოროსის კონცხი" პლაჟი– 15.73%;
- არაიდენტიფიცირებული– პლაჟი "კრაიმორიე"– 0.06%.

3. დასკვნები

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები: :

1) ნარჩენებით დაბინძურებაში მაქსიმალური წილი (დანარჩენ კატეგორიებზე მნიშვნელოვნად მეტი) ყველა პლაჟზე აქვს „ხელოვნური პოლიმერული მასალის“ კატეგორიას. ნარჩენების ამ კატეგორიის რაოდენობა ბევრად აჭარბებს დანარჩენ კატეგორიებს. ეს დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ დასვენების დროს გამოყენებული საგნების (გარუჯვა, სამოყვარულო თევზჭერა) დიდი ნაწილი დამზადებულია პლასტიკისაგან.

2) ყველა პლაჟზე (საფრენი აპარატის გამოყენებით მონიტორინგისათვის განკუთვნილი პლაჟების გარდა) ნარჩენების მეორე ყველაზე გავრცელებული კატეგორიაა "ქაღალდი/მუყაო". ესეც ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული დასვენებასთან და ტურიზმთან.

3) უპილოტო საფრენი აპარატის გამოყენებით ჩატარებული მონიტორინგისათვის განკუთვნილ პლაჟებზე მეორე ყველაზე გავრცელებულ კატეგორიას წარმოადგენს „მინა/კერამიკა“. ამ ტიპის ნარჩენები შესაძლოა უკავშირდებოდეს კემპინგს და სამშენებლო საქმიანობას.



დანართი 1.1.

ცხრილი 1. ნარჩენების ძირითადი კატეგორიების შემცველობა (%-ში) პლაჟების მყარი ნარჩენების ინსტიტუციური მონიტორინგისათვის განკუთვნილ მონაკვეთებზე, 2017 წ.

ნარჩენების კატეგორია/პლაჟის მონიტორინგის არეალი	ხელოვნური პოლიმერული მასლა	რეზინი	ტანსაცმელი/ ტექსტილი	ქაღალდი / მუყაო	დამუშავებული ხე	ლითონი	მინა / კერამიკა	არაიდენტიფიცირებული
1	2	3	4	5	6	7	8	9
პლაჟი "დურანკულაკი ჩრდ. 1"	70.42	1.90	1.26	10.19	5.58	6.01	4.26	0.38
პლაჟი "კრაპეცი"	63.57	3.79	1.90	14.76	3.97	5.64	6.06	0.32
არხი 2 - "ვარნის ტბა - შავი ზღვა"	63.65	1.49	2.25	15.78	4.95	8.89	2.81	0.18
პლაჟი "შკროპილოვცი ჩრდ."	65.89	1.97	2.20	13.76	5.65	5.63	3.99	0.89
პლაჟი "ბიალა - კარადერე"	60.41	1.76	1.68	14.36	5.17	12.13	4.00	0.50
პლაჟი "ობზორ - ბავშვთა ბანაკები"	62.35	2.78	1.86	16.99	7.08	5.85	2.83	0.27
პლაჟი "ირაკლი"	67.62	1.93	1.59	12.86	4.34	7.53	3.84	0.28
პლაჟი "შავი ზღვის მლაშობები"-ბურგასი	68.54	2.14	1.42	17.25	3.53	3.56	3.22	0.34

1	2	3	4	5	6	7	8	9
პლაჟი „ალეპუ“	66.07	3.01	1.43	14.64	4.19	6.25	3.98	0.43
პლაჟი "მდ. ველეკას შესართავი"	54.33	1.68	2.41	10.22	22.16	5.31	2.78	1.10

ცხრილი 2. ნარჩენების ძირითადი კატეგორიების შემცველობა (%-ში) პლაჟების მყარი ნარჩენების ინსტიტუციური მონიტორინგისათვის განკუთვნილ მონაკვეთებზე, 2018 წ.

ნარჩენების კატეგორია/პლაჟის მონიტორინგის არეალი	ხელოვნური პოლიმერული მასალა	რეზინი	ტანსაცმელი/ ტექსტილი	ქაღალდი/მუყაო	დამუშავებული ხე	ლითონი	მინა/კერამიკა	არაიდენტიფიცირებული
1	2	3	4	5	6	7	8	9
პლაჟი "დურანკულაკი ჩრდ."	58.96	2.60	3.77	12.12	9.16	8.50	4.63	0.25
პლაჟი "კრაპეცი"	62.71	1.81	2.62	10.71	10.44	8.26	2.99	0.44
არხი 2 - "ვარნის ტბა - შავი ზღვა"	61.79	2.45	2.56	14.95	4.70	9.43	3.57	0.55
პლაჟი "შკროპილოვცი ჩრდ."	65.53	2.51	1.80	9.99	7.03	8.35	4.11	0.67
პლაჟი "ბიალა - კარადერე"	60.56	1.88	2.35	12.02	11.42	8.14	2.95	0.68

1	2	3	4	5	6	7	8	9
პლაჟი "ობზორ - ბავშვთა ბანაკები"	56.06	2.00	1.92	12.89	14.20	8.85	3.17	0.90
პლაჟი "ირაკლი"	57.53	2.17	1.67	10.34	18.65	7.18	1.90	0.57
პლაჟი "შავი ზღვის მლაშობები"-ბურგასი	59.16	2.47	2.87	13.16	9.35	8.00	4.33	0.66
პლაჟი „ალეპუ“	57.12	2.22	2.74	14.79	10.55	8.74	3.45	0.38
პლაჟი "მდ. ველევას შესართავი"	59.39	1.81	1.88	11.17	14.65	7.92	2.99	0.21

ცხრილი 3. ნარჩენების ძირითადი კატეგორიების შემცველობა (%-ში) პლაჟების მყარი ნარჩენების ინსტიტუციური მონიტორინგისათვის განკუთვნილ მონაკვეთებზე, 2019 წ.

ნარჩენების კატეგორია/პლაჟის მონიტორინგის არეალი	ხელოვნური პოლიმერული მასალა	რეზინი	ტანსაცმელი /ტექსტილი	ქაღალდი/მუყაო	დამუშავებული ხე	ლითონი	მინა/კერამიკა	არაიდენტიფიცირებული
1	2	3	4	5	6	7	8	9
პლაჟი "დურანკულაკი ჩრდ. 1"	66.17	0.96	1.32	11.81	12.80	3.99	2.63	0.32
პლაჟი "კრაპეცი"	64.09	1.32	1.15	10.98	15.67	5.41	1.34	0.05
არხი 2 - "ვარნის ტბა - შავი ზღვა"	57.94	1.96	1.97	16.23	7.43	10.49	3.60	0.37
პლაჟი "შკროპილოვსკი ჩრდ.""	65.04	0.60	1.73	12.89	12.06	5.70	1.73	0.26



Project funded by
EUROPEAN UNION



RedMarLitter

1	2	3	4	5	6	7	8	9
პლაჟი "ბიალა - კარადერე"	65.55	1.45	1.92	12.92	9.19	6.09	2.46	0.41
პლაჟი "ობზორ - ბავშვთა ბანაკები"	62.11	3.60	1.44	11.71	13.02	5.29	2.05	0.77
პლაჟი "ირაკლი"	60.78	1.96	2.26	14.04	9.16	7.28	4.08	0.45
პლაჟი "შავი ზღვის მლაშობები"-ბურგასი	61.09	2.0	3.16	12.77	14.40	4.21	1.80	0.58
პლაჟი „ალეპუ“	64.83	0.95	1.52	11.23	15.73	3.90	1.57	0.26
პლაჟი "მდ. ველეკას შესართავი"	63.02	1.68	2.01	12.30	11.55	6.97	1.96	0.51



RedMarLitter

ცხრილი 4. ძირითადი კატეგორიების შემადგენლობა (%-ში) 4 სეზონის მონიტორინგისათვის განკუთვნილ პლაჟებზე, პროექტ RedMarLitter ფარგლებში, 2019/2020 წწ.

ნაჩენების კატეგორია/პლაჟის მონიტორინგის არეალი	ხელოვნური პოლიმერული მასალა	რეზინი	ტანსაცმელი /ტექსტილი	ქაღალდი/ მუყაო	დამუშავებული ხე	ლითონი	მინა/კერამიკა	არაიდენტიფიცირებული
1	2	3	4	5	6	7	8	9
პლაჟი "შავი ზღვის მლაშობები"	92.98	0.32	0.21	2.93	1.31	0.83	1.28	0.14
პლაჟი "ვრომოსი"	90.48	1.02	0.89	3.12	1.02	2.05	1.30	0.13
პლაჟი "ალეპუ"	89.91	0.80	0.53	2.97	2.54	0.98	1.70	0.56

ცხრილი 5. სატელიტური მონიტორინგისათვის განკუთვნილ პლაჟებზე უპილოტო საფრენი აპარატის საშუალებით მიღებული მყარი ნარჩენების ძირითადი კატეგორიების შემცველობა (%-ში) 2019/2020 წწ.

ნაჩენების კატეგორია/პლაჟის მონიტორინგის არეალი	ხელოვნური პოლიმერული მასალა	რეზინი	ტანსაცმელი /ტექსტილი	ქაღალდი /მუყაო	დამუშავებული ხე	ლითონი	მინა/კერამიკა	არაიდენტიფიცირებული
1	2	3	4	5	6	7	8	9
ფოროსის კონცხის პლაჟი	79.08	0.42	1.38	1.21	1.38	0.79	15.73	0
კრაიმორიე პლაჟი	87.12	0.60	0.79	0.48	1.99	0.30	8.66	0.06

Common borders. Common Solutions

